

პროექტის მონაცემთა აღწერის ფურცელში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება 2014 წლის 20 ოქტომბრით დათარიღებულ ინგლისურ ვარიანტს.



პროექტის მონაცემთა აღწერის ფურცელი

პროექტის მონაცემთა აღწერის ფურცელი (პმაფ) მოიცავს ზოგად ინფორმაციას პროექტის ან პროგრამის შესახებ. იმის გამო, რომ აღნიშნული ინფორმაცია სამუშაო პროცესში მუშავდება, მისი ნაწილი შესაძლოა არ იყოს შესული აღნიშნული აღწერის საწყის ვერსიაში, თუმცადა, დაემატება მას შემდეგ, რაც გახდება ხელმისაწვდომი. ინფორმაცია შემოთავაზებული პროექტების შესახებ სავარაუდოა.

პმაფ შედგენის თარიღი

-

პმაფ განახლების თარიღი

2014 წლის 29 სექტემბერი

პროექტის დასახელება

ტრანსპორტის პოლიტიკის ხელშეწყობა

ქვეყანა

საქართველო

პროექტის/პროგრამის ნომერი

47220-001

სტატუსი

დამტკიცებული

გეოგრაფიული მდებარეობა

საქართველო

ქვეყნის პროგრამის ან სტრატეგიის მომზადებისას, პროექტის დაფინანსებისა თუ წინამდებარე დოკუმენტში კონკრეტული გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მინიშნებისას აზიის განვითარების ბანკი (აგბ) არ ისახავს მიზნად აღნიშნული ტერიტორიისა თუ გეოგრაფიული ადგილმდებარეობის იურიდიული თუ სხვა სტატუსის განსაზღვრას.

სექტორის და/ან ქვესექტორის კლასიფიკაცია

თემატური კლასიფიკაცია

-

გენდერული კატეგორიები

-

დაფინანსება

ხელშეწყობის ტიპი/მოდალობა	დამტკიცების ნომერი	დაფინანსების წყარო	დამტკიცებული თანხის ოდენობა (ათასი)
ტექნიკური ხელშეწყობა	8682	ტექნიკური ხელშეწყობის სპეციალური ფონდი	750
-	-	პარტნიორი	75
სულ			US\$825

■ გარემოსა და სოციალური საკითხების აღწერა

გარემოსდაცვითი ასპექტები

-

იშულებითი განსახლება

-

ადგილობრივი მოსახლეობა

-

■ დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია, მათი ჩართულობა და მათთან კონსულტაციები

პროექტის შედგენისას

პროექტის შემუშავებისას 2014 წლის მაისში კონსულტაციები შედგა სამინისტროებთან, ტრანსპორტის სააგენტოებთან და კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან, რის შედეგადაც პროექტში ცვლილებები შევიდა.

პროექტის განხორციელებისას

კონსულტაციები ორი ძირითადი ეტაპის განხორციელებისას გაიმართება: 1) პროექტის დაწყებისას და 2) ტრანსპორტის პოლიტიკის ძირითადი ასპექტების მოძიების შემდგომ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტრანსპორტის დეპარტამენტში სპეციალურად შექმნილი კომიტეტი პროექტის განხორციელების ძირითადი პარტნიორი გახდება საქართველოს მთავრობის მხრიდან. კომიტეტში შევლენ: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროების, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის, პორტის, საქართველოს რკინიგზის და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები კერძო სექტორიდან, დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. კომიტეტის თავმჯდომარე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო იქნება. სამინისტრო ასევე კომიტეტის სამდივნოს როლს შეითავსებს და რეგულარულად მოახსენებს კომიტეტს და აზიის განვითარების ბანკს ტექნიკური ხელშეწყობის განხორციელების შედეგებს. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო დაასახელებს პროექტის დირექტორს რომელიც აღნიშნული ტექნიკური ხელშეწყობის ძირითადი საკონტაქტო პირი იქნება სამინისტროში.

■ აღწერა

■ პროექტის არსი და კავშირი ქვეყნის/რეგიონის სტრატეგიასთან

საქართველოს ტრანსპორტის სექტორი ხუთ მოდელს მოიცავს: საგზაო, სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო და მაგისტრალური (ნავთობისა და ბუნებრივი აირისთვის). 2005 წლიდან მთავრობები ცვლიდნენ ტრანსპორტის ინფრასტრუქტურისა და მომსახურების წესებსა და დირექტივებს და ასევე იცვლებოდა სატრანსპორტო სისტემის მოდერნიზაციის უფლებამოსილებები. თუმცა, ტრანსპორტზე მზარდი მოთხოვნიდან გამომდინარე, ჯერაც დასარეგულირებელია ისეთი საკითხები, როგორცაა: 1. სატრანსპორტო პოლიტიკა. საქართველოს ტრანსპორტის სექტორს ესაჭიროება ერთიანი პოლიტიკა, რომელიც მის განვითარებას ყოველმხომცველს და მდგრადს გახდის და ცალკეულ სააგენტოს მისეული ხედვა და სტრატეგია/დღის წესრიგი აღარ ექნება შემუშავებული, არამედ ერთიანი სტრატეგიით იხელმძღვანელებს. ტრანსპორტის სექტორს ესაჭიროება ერთიანი პოლიტიკა ყოველი მოდალობის დეტალური აღწერითა და მისი ფინანსური მოდელით. 2. ტრანსპორტის სააგენტოები სხვადასხვა სამინისტროების დაქვემდებარებაში დანაწევრებული: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო განაგებს სამოქალაქო ავიაციას, სახელმეთო და საზღვაო ტრანსპორტს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო პასუხისმგებელია გზებზე, ხოლო შინაგან საქამეთა სამინისტრო ახდენს გზების პატრულირებას, საგზაო უსაფრთხოების ჩათვლით. სატრანსპორტო მომსახურების ინსტიტუციონალური სტრუქტურა გადახედვას საჭიროებს, რათა გრძელვადიან პერსპექტივაში სტრუქტურა და უწყებათაშორისი კოორდინაცია არ გახდეს მომსახურების ხელისშემშლელი ფაქტორი. 3. რეგულირება. საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, საგზაო ტრანსპორტის სააგენტო და სახელმწიფო პიდროგრაფიული მომსახურების სააგენტო ტექნიკული მარეგულირებლის როლს ასრულებენ. თუმცა, ეკონომიკური რეგულირება - რაც გულისხმობს ფასების რეგულირებას, მომსახურების ხარისხსა და სიხშირეს - საკმაოდ შეზღუდულია და შემდგომ განვითარებას საჭიროებს. 4. კადრების განვითარების საჭიროება. სხვადასხვა დონორების მიერ გაწეული მუშაობის მიუხედავად, ზოგიერთი სააგენტო კვლავ საჭიროებს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას. ასე მაგალითად, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საავტომობილო გზების დეპარტამენტი ფაქტობრივად გადაიქცა ქსელისა და კონტრაქტების ადმინისტრატორად, თუმცა არ გააჩნია საკმარისი კვალიფიკაცია პროექტების ეფექტურად განხორციელებისთვის. ვითარება ასევე შესაცვლელია სამინისტროს დონეზე: ტრანსპორტის საკითხებზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში მომუშავე კადრების 50%-ს არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია ან მხოლოდ ფორმალური განათლება თუ აქვს მიღებული დარგში; და კადრების დაახლოებით 90%-ს ესაჭიროება მოკლევადიანი ტრენინგი მიმდინარე საქმიანობის ეფექტურად საწარმოებლად, მაშინ როდესაც, 20%-ს ესაჭიროება სპეციალიზაცია. ტრანსპორტის დაგეგმარების უნარები უახლოეს მომავალში უნდა ჩამოყალიბდეს, განსაკუთრებით კი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში. 5. სატრანსპორტო პროექტებს შორის პრიორიტეტების დასახვა. აზიის განვითარების ბანკის მიერ შემუშავებული საქართველოს ტრანსპორტის სექტორის შეფასება და სტრატეგია საგრძნობლად გაუმჯობესდება სატრანსპორტო სექტორის სხვადასხვა პროექტებს შორის პრიორიტეტების დასახვით, რაც შეზღუდული რესურსების მართებულად გადანაწილების საშუალებას იძლევა. ტექნიკური ხელშეწყობა ამ მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავს. კადრების მომზადების გრძელვადიანი გეგმა შეისწავლის კადრების კვალიფიკაციისა და ინსტიტუციონალური საჭიროებების მიმდინარე და სამომავლო პრიორიტეტებს. ტექნიკური ხელშეწყობის ფარგლებში მოხდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების

სამინისტროს კადრების გადამზადება ტრანსპორტის დაგეგმარების სფეროში. ტექნიკური ხელშეწყობის ფარგლებში შემუშავდება საქართველოს სატრანსპორტო პოლიტიკა და სამოქმედო გეგმა იმის გათვალისწინებით, რომ არსებული ორგანიზაციული სტრუქტურა და მარეგულირებელი ბაზა არ გახდეს საქართველოს ტრანსპორტის სექტორის განვითარებისთვის ხელისშემშლელი.

■ ზეგავლენა

უსაფრთხო და უფრო ეფექტური სატრანსპორტო სისტემა რაც შედეგად საქართველოს ეკონომიკურ წინსვლას განაპირობებს.

■ პროექტის შედეგი

შედეგის აღწერა

პროგრესი შედეგის მისაღწევად

მთავრობის მიერ სატრანსპორტო პოლიტიკისა და -
სამოქმედო გეგმის დამტკიცება.

■ შედეგები და განხორციელების პროგრესი

პროექტის შედეგის აღწერა

განხორციელების პროგრესი
(შედეგები, ღონისძიებები, პრობლემები)

1. საქართველოს სატრანსპორტო სექტორის პოლიტიკის რეკომენდაციებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება. 2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კადრების კვალიფიკაციის ამაღლების გრძელვადიანი გეგმის შემუშავება. 3. სატრანსპორტო პროექტებს შორის პრიორიტეტების დასახვისა და პროექტების განხორციელების ხელშეწყობა.

შედეგების სტატუსი

ძირეული ცვლილებები

-

-

■ ბიზნეს შესაძლებლობები

პირველი ჩანაწერის თარიღი 2014 წლის 30 მაისი

საკონსულტაციო მომსახურება

ტექნიკური ხელშეწყობის 2-წლიანი ვადის განმავლობაში დაქირავებული იქნება ინდივიდუალური საერთაშორისო კონსულტანტი 20 კაც-თვით და ინდივიდუალური ადგილობრივი კონსულტანტი 18 კაც-თვით. საერთაშორისო კონსულტანტები იმუშავენ ტრანსპორტის დაგეგმარების, ეკონომიკის, და კადრების განვითარების საკითხებზე. ადგილობრივი კონსულტანტები იქნებიან ტრანსპორტის სპეციალისტი და სპეციალისტი ინსტიტუციონალურ და მარეგულირებელ დარგებში. ყველა ექსპერტის დაქირავება საერთაშორისო კონსულტანტების შერჩევის წესით (ICS) აზიის განვითარების ბანკის რეგულაციების შესაბამისად მოხდება. ტექნიკური ხელშეწყობის ფარგლებში თანხების გადახდა აზიის განვითარების ბანკის რეგულაციების შესაბამისად მოხდება. კონსულტანტების დაქირავება ამჟამად მიმდინარეობს.

შესყიდვები

-

შესყიდვების და საკონსულტაციო შეტყობინებები

-

■ ვადები

კონცეფციის დამტკიცება 2014 წლის 28 მაისი

ფაქტების მოძიების მისია 2014 წლის 4 მაისიდან 2014 წლის 8 მაისამდე

მენეჯმენტის მიერ განხილვა -

დამტკიცება 2014 წლის 9 ივლისი

ბოლო მისია -

■ მიზნები

დამტკიცების ნომერი	დამტკიცება	ხელმოწერა	უწყებურობა	დახურვა		
				ორიგინალი	რედაქტირება	ფაქტობრივი
ტექნიკური ხელშეწყობა 8682	2014 წლის 9 ივლისი	2014 წლის 8 აგვისტო	2014 წლის 8 აგვისტო	2016 წლის 31 დეკ	-	-

■ საკონტაქტო ინფორმაცია

აგბ-ის პასუხისმგებელი ოფიცერი	ფერვალ ტრეისი (ftrace@adb.org)
აგბ-ის პასუხისმგებელი დეპარტამენტი	ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტი
აგბ-ის პასუხისმგებელი განყოფილებები	ტრანსპორტისა და კომუნიკაციების განყოფილება, ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტი
აღმასრულებელი სააგენტოები	-

■ ბმულები

პროექტის ვებგვერდი	http://www.adb.org/projects/47220-001/main
პროექტის დოკუმენტაციის ჩამონათვალი	http://www.adb.org/projects/47220-001/documents
